№ 171 18 აგვისტო, სამშაბათი. 1866—1881 18 აგვისტო, სამშაბათი. № 171


**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება"-„ივერიის" რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის" აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверія".

**„დროება"-„ივერიის" ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა


**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებით ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებით ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხანგრძლივობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება"-„ივერიის" აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.



თამბაქოს ფაბრიკანტი ქუთაისში

## სტეფ. პეტრ. ფირალოვი

ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მის ფაბრიკაში მიღებულია სამხლვარ გარეთიდამ ნამდვილი და საუკეთესო ოსმალოს თამბაქო სხვა და სხვა ხარისხისა, რომლიდგანაც აკეთებენ ჩემს ზედამხედველობის ქვეშ პაპიროზებს და თამბაქოებს.

მაჭრობა ჩემი ფაბრიკის თამბაქოისა და პაპიროზების არის:

ა) ქუთაისში—მიხაილოვის და ქარვალის ქუჩაზე.
ბ) თბილისში—ივერიის თამბაქოს მაღაზიაში, ზალავინის პროსპექტზე.
გ) ფოთში—ბერძნების ქუჩაზე, შაინციევის სახლებში.

ბლომად მყიდველს აღნიშნულ ფასზედ 25% ნაკლებ მიეცემა. ზემოხსენებულ მაღაზიებში ყოველივე შეიძლება, რომელიც აღსრულდება სიჩქარით.

(3—1)


## ტელეგრამმები

(„კავკასიონის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღი**, 15 აგვისტოს. „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც პეტერბურღის გამგეობა აქვს ობერ-პოლიციმეისტერს და ქალაქ-მთავრის თანამდებობა გაუქმდება. ობერ-პოლიციმეისტერს მინიჭებული აქვს ქალაქის საქმეების გამგეობაში თავს-მჯდომარეობა და ზედამხედველობა ქალაქის თვითმმართველობისა. ღენერალი კოზლოვი დაინიშნა პეტერბურღის ობერ-პოლიციმეისტრად; მოსკოვის ობერ-პოლიციმეისტრად დაინიშნა ღენ. იანკოვსკი.

**ათინა**, 14 აგვისტოს. ოსმალოს ჯარები, რომელმაც საბერძნეთისადმი დათმობილი ადგილები დაცალა, ამ დაცლის დროს სოფ. კაიცე დასწვა.

**პეტერბურღის ბირჟა, 14 აგვისტოს.**

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 96 | 25 1/2 |
| მეორესი— — — — | 94 | 25 1/2 |
| მესამესი — — — — | 94 | 75 1/2 |
| მეოთხესი — — — | 94 | 12 1/2 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 91 | 25 |
| აღმოსავლეთის მეორე | 91 | 12 1/2 |
| აღმოსავლეთის მესამე | 91 | 37 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 7 | 70 |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 287 | 55 |
| მეორე სესხის — — — | 226 | 50 |

| 1 მანეთი ღირს: | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25—75 | პენსი |
| ბერლინი — — | 224—25 | პფენიგი |
| ჰამბურღი — — | 205—50 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 271—25 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

## ახალი ამბები.

აბასთუმნიდამ გვწერენ, რომ ამ დღეებში ვილაცაებს გაუცარცვავს იქაური ფოსტის სტანცია; წაუღიათ სულ ორი ათას-ასი მანეთი ფული და ნივთები.

ქურდი, როგორც ეტყობა, ფანჯარიდამ შესულა, რკინის ზანდუკი გაუტეხია და იქიდამ ამოუღია ფული და ნივთები. ფანჯარა და ზანდუკი არის გალეწული; ეს ნაჯახი სტანციის ყოფილა და მეორე დღეს იქვე უნახავთ. იმ ოთახში, საიდამაც ფული და ნივთები გაუტანიათ, ღამე არავინ არ წოლილა; მხოლოთ იმის გვერდით მეორე ოთახში სძინებია თვითონ სტანციის უფროსს ბარნოვსკის, რომელსაც კარი ღია ჰქონია, მაგრამ ისე მძიმედ სძინებია, რომ ვერა გაუგია-რა.

ყუთი და ნივთები, რომელშიაც მოპარული ფული და ნივთები ეწყო, მეორე დღეს ნახეს სტანციის მახლობლად, ტყეში; აქვე ეგდო ერთი ვერცხლის სტაქანიც.

ეჭვი შინაურებზედ აქვთ.

ამ გარემოების გამოსაძიებლად ახალციხიდამ გამოგზავნილია გამომძიებელი ბ. სულხანოვი.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ 12 ამ თვისას, ღამის თერთმეტს და ნაშუაღამევის მესამე საათზე, იქ ყოფილა მოძლიერო მიწის-ძვრა.

* * *

იქიდამვე გვატყობინებენ:

„წასრულის ხუთშაბათს, 13 რიცხვს, დასავლეთ-ჩრდილოეთის მხარეს, საღამოს ცხრა საათზე, დაუნახავთ კუდიანი ვარსკვლავი."

* * *

იმერეთიდამ სამდურავს გვწერენ წლევანდელ სიმინდის მოსავლის პირზე. ხანგრძლივს წვიმებს ძრიელ უზიანებია თურმე, ასე რომ სიმინდის ფასი ეხლავე აწეულა. ვაზებიც ბევრ ალაგას დაუნაცრია.

* * *

ქარელიდამ გვწერენ:

„აქაურს ნაცვალს და სუდიებს ბრძანება მოუვიდათ გამოიცვალონო. ამათ სახლობას და მოკეთეებს გასაოცებელი სჯა აქვსთ ამ საქმის შესახებ; ამბობენ, ამ სუდიებისა და ნაცვლის გამოცვლის მიზეზი იყო ამ დღეებში მიწის-ძვრაო; თავიანთის თანამდებობაში ისეთი მუყაითათ არიანო, რომ თვით დედა-მიწაც კი მრისხანებს ამათ გამოცვლაზედაო.

„რასაკვირველია, ბევრი ჩვენთაგანი იცნობს იმათ, რა ღირსების მოხელენი გახლავან. ეს კი ვიცით, რომ ბევრი მათთან საქმის დამჭერი დღესაც საქმე გაუთავებელი დაიარება; ისინი კი უდარდოთ დასეირნობენ და დროს სმა-ქეიფში ატარებენ. აბა, რას უნდა მოველოდეთ ამათთაგან, რომელსაც ამ თვისებებს ქართული წერა-კითხვის უცოდინარობაც ზედ ემატებათ? ოჲე გავიდოდა, ერთს არ შაიხედავდენ თვის კანცელარიაში.

«დროების» ფელეტონი, 18 აგვისტ.

### სამშობლოსადმი

სამშობლო მხარევ, მშვენიერებავ,
ქვეყნად ქებულო!
ლომო ძლიერო, სჯულის მოყვარევ,
მტრით აკლებულო!

—

ნეტავ სით განჰქრა შენი შვილების
დარბაისლობა,
ტკბილის ენითა და სასოებით
ქართულად მზობა?

—

ნეტავ სით განჰქრნენ იგი სიტყვები
ჭეშმარიტების,
ნდობის, ერთობის, მამულისათვის
ხმა თავ-დადების?!

—

რალამ ამოფხრა შენ შვილის გულში
ის სიყვარული,
რომლითაც იგი ქვეყანაში
იყო განთქმული?..

—

განჰქრა, სამშობლოვ, ის სიყვარული,
ის ნეტარება,
მამაცურადა მამულის დახსნა,
მტრის შეტაკება!

—

აღარ მოისმის შენს შვილებშია
ქართული ხმები,
აღარ მოისმის სიტკბოებითა
ქართველთ სიმღები.

—

ჩვენს მხარეშია მეფობა იწყეს
უცხოთ ენებმა,
ძველთ ჩვეულება სრულად განდევნეს
შენმა შვილებმა...

—

განჰქრა, სამშობლოვ, ის სასოება,
ის ხმა ნეტარი:
„ვიხსნათ მამული, ან გავითხაროთ
ცოცხლად სამარი!"

—

თვით გლალატობენ და თვით გვმობენ
შენი შვილები;
შორით და ახლოთ შემოგცქერენ,
როგორც ცხვართ მგლები;

—

განჰქრა, სამშობლოვ, ძველთ ქცევა-დარბაისრული, [ყოფა
შენთ თანამგრძნობელთ მით აღგვიტანჯული სული! [შფოთდა

—

მივალ ქუჩაზედ თავ-ჩაღებული,
დაღონებული,
მსურს გავახარო საბრალო გული
დარდით ვსებული;

—

ვფიქრობ: გავივლო, იქ ხალხი დადის,
დასეირნობენ,
შეჭველია... მამულზედ რამეს
მუსაიფობენ.

—

ვხედავ ჩემ წინა ქალს კაცისათვის
უვლია ხელი,
დახტის, დაათრევს: კაცს ეგონება
წინ უდევთ ქსელი...

—

ვსთქვი: „მით რა უყოთ, ფორმა იცვალა,
ხალხი განათლდა;
დღემდის გმობილი და წვალებული
დღეს კი გამართლდა."

—

ეს არაფერი; დავუგდებ ყურსა:
„რაზედ დაობენ,
რომ ასე ტკბილად და დაწყნარებით
ქეთილდღეობენ?"

—

კარგად მომესმის... რალაცა ხმაზედ
მოჯლოყინობენ,
ხან განაგრძობენ, კვლავ ხან შესწყვეტან
პრაშტი-პრუშტობენ...

—

განჰქრა, სამშობლოვ, ძველთ ქცევა-დარბაისრული, [ყოფა
ბადასხვა-გვარდა გვარის მოყვარე
ქართველის სული!

—

აღარვის ახსოვთ მამა-პაპისა
ღვაწლი მამულზედ,
მუდამ მაბრძოლზედ, შენი გულისთვის
შეწამებულზედ!

—

ოჰ, შემომქმედო, კვლავ გარდმოხედე
ჩვენს სამშობლოსა,
შენგან შექმნილსა დღეს დაცემულსა
საქართველოსა!..

შაპი.

9 მაისს.

„ჩვენი სოფლები ქურდებით და ავაზაკებით ავსებულია. ამათ ვიჭერთ და ვაცხადებთ, მაგრამ არავითარ სამართალს არ გვაძლევს ადამიანი და ისე ვიღუპებით.

„ვნახოთ ახალი ამორჩეულები რა სიკეთეს მოგვიტანენ!..“

## „დროების“ კორესპონდენციები

**ბათუმი,** 5 აგვისტოს. რაც საქართველოში ქართული დრამმატიული ტრუპპა დაარსდა, ამათ ეს მეორეჯერაა, რომ გაგვაბედნიერეს მათი მოსვლით, რომლებსაც ყოველთვის სიხარულით და ალტაცებით მოველოდით.

რადგანაც ჩვენი ბათუმის სცენის მოყვარებს თავიანთი, სხვა-და-სხვა ადგილას გამართული, სცენები აღარ ჰქონდათ და რადგანაც უმეტესობა ამათი შესდგება ბათუმის მოსამსახურე პირებიდან, ამისათვის თავიანთი მომავალი წარმოდგენებისათვის გამართეს ახალი სცენა, სადაც ბათუმის პოლიციაში თათრების დროინდელი საპყრობილე იყო (პოლიციაში საპყრობილე თეატრათ..!? რა კარგია?!!.) და ჩვენ დრამმატიულ ქართულ ტრუპპას კი დაუთმეს იმ პირობით, რომ ორჯერ თავიანთთვის წარმოადგინონ და ორჯერაც ნახევარ-ნახევარი შემოსავალი ბათუმის სცენის მოყვარეების სასარგებლოდ. რასაკვირველია, სცენის გაკეთების ხარჯისათვის...

პირველი წარმოდგენისათვის ხსენებულ ტრუპპას დანიშნული ჰქონდა წარმოსადგენათ „იმედიანი“ თ. რაფ. ერისთვისა, „ბიძიასთან გამოხუმრება“ ამავე პატივცემული ავტორისა და „თამარ ბატონიშვილი“ პატ. პოტე მესხის ზ. რჩეულოვის რომანიდან გადმოკეთებული დრამის მეოთხე მოქმედება.

პირველში ჩვენი ტრუპპის მოსვლამ ბათუმის ხალხის სიყვარული და თანაგრძნობა ისე დაიმსახურა, რომ ყველანი სიხარულით მიესწრაფებოდნენ და ამის წყალობით იყო, რომ თუმცა პატარა, მაგრამ ბათუმისათვის საკმარისი ვრცელი ზალა, სავსე იყო მაყურებლებით.

საზოგადოთ მოთამაშეებზე არა ღირს დაწვრილებითი აღწერა, რადგანაც ისინი ჩვეულებრივ თამაშობდნენ, რომლებსაც უკეთესობა მოეთხოვებათ, მაგრამ ზოგიერთ მოთამაშეების თამაში იმდენათ საყურადღებოა, რომ მაინც ჩემის ჰაზრით ორიოდე სიტყვის თქმას საჭიროთა ვსთვლი.

ბატ. პ. ყიფიანი, რომელიც თ. იორამ ყძლომელაძის და ელიზბარ ერისთვის—ტუსაღის როლს თამაშობდა, იმ დროს ის იყო სრული მფლობელი თავის ხელოვნობის და ნიჭის მეფე! იმან ითამაშა ისე, რომ არა თუ იმათ, ვისაც ცოტა რამ ესმის მნიშვნელობა და ღირსება კარგი პიესის და მისი დახელოვნებული მოთამაშის, არამედ იმათაც, ვისაც მარტო სალრექავათ მიაჩნიათ სცენიდან თქმული სიტყვა—სწორეთ იმათაც კი დაჰკრა გრძნობის ძარღვის სიმებზე.

ბ-მა მოხევემ შალვას როლი, შეიძლება ვსთქვათ—სრულებით ვერ ითამაშა, რადგანაც ის წამი, რომელსაც ის უნდა, როგორც მშფოთვარე ზღვა და გენიის ცეცხლი აელელვებინა—როდესაც, იმან მომაკვდავი მამა უბედურებაში ნახული უსულოთ გარდააწვინა, ამ დროს იმან სრულებით დამშვიდებული სახე მიიღო და გულ გრილათ უთხრა ის ელვა-ჭექასავით გამოსათქმელი სიტყვები. პირველათ შემოსვლის დროს საპყრობილეში არც ისე გაკვირვებითი თვალების ბრიალი ვარგოდა, როდესაც იმან არ იცოდა საქმე რაში მდგომარეობდა, რადგანაც ის მეფის თხოვნით ტუსაღის სანახავათ შედიოდა საპყრობილეში და ვიდრე თითონ ტუსაღმა არ დაასახელა „შალვათ,“ შალვამ არ იცოდა ვინ იყო ტუსაღი!...

მეფის როლი (მაინც ბათუმში) შეეძლოთ ჩვენს არტისტებს უკეთესი მოთამაშისათვის მიეცათ, რადგანაც ბევრს იმათ რომლებსაც ჩვენი მეფეების აღწერაც კი არ წაუკითხავთ, არამედ მარტო იმათი ზღაპრულათ გაგონილი სახელით ტკბებოდნენ, იმათზე ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, რადგანაც ის, არა თუ მეფეს, არამედ გორელ მეტივე ვაჭარს ჰგავდა, როდესაც ის ტივების გაყიდვაზე თბილისელ დიდ კაცებს მორიდებით ელაპარაკება.—ის არც ელიზბარის საპყრობილეში იმ უბედურათ ნახვამ, არც მისმა სიკვდილმა და არც იმ გასაოცარ სცენამ, რომ შალვა იმისი შვილი გამოდგა—ის არ აალელვა, არამედ ერთ და იმავე სახით, ერთ და იმავე დინჯობით ისმენდა ამაებს.

ქალბ. ბაბუნიასამ და ბ-ნთ ავქ. ცაგარელმა და მოხევემ თავიანთი სიმღერებით და გრძნობით სავსე მშვენიერი სიტყვებით ყველა ეს ნაკლულევანება გამოისყიდეს და ხალხი დიდის სიხარულით და მადლობის გამოცხადებით დაიშალა, მაგრამ ამათთანა მოთამაშეებს ის არ მიეტევებათ, რომ თავიანთ რომელიმე მეგობარს იმისი ნება მისცენ და ამით გამხნევებისათვის ხალხში აერიოს და „ბიზ“ და „ბრავოს“ ყვირილით ხარივითა ღრიალებდეს და ყველას დაუშალოს მშვიდობიანობა.

კრაზანა.

**ოზურგეთი,** 4 აგვისტოს. ამას წინეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში № 157 დაბეჭდილი იყო სტატია ოზურგეთის ადგილობრივი კამანდის სალდათების ავათმყოფობაზედ. ამ კამანდის კამანდირი ბ. პ—ძე, რომ ამ დანაშაულობიდგან თავი დაიხსნას და პასუხის-გება თავიდამ მოიშოროს, მეცადინეობს როგორმე მოიმხროს ამ საქმის გამოსაკვლევათ ქუთაისიდამ გამოგზავნილი ექიმი,—უნდა ბ. კამანდირს დაამოწმებინოს ექიმს, ვითომც მიზეზი თქმული ავათმყოფობისა იყო ოზურგეთის ცუდი ჰაერი და ამითი ჰსურს მას თავი გაიმართლოს და ყოველივე მიზეზი ოზურგეთის კარგ ჰაერს გადმოაბრალოს, ასე რომ დანაშაულობა დანაშაულობას უნდა მიემატოს.

მე მიკვირვებს ბ. კამანდირის მოქმედება და ვფიქრობ—არავინ არ დაიჯერებს ამისთანა ცრუ დამოწმებას ექიმისაგან, მაშინ, როდესაც მთელ ოზურგეთში, გარდა სალდათებისა, არავინ ავათ არ გამხდარა და ჯერ-ჯერობით ძრიელ კარგათ მიმდინარეობს ყველას ცხოვრება ჩვენ ოზურგეთში. თუ კი ცუდი ჰაერია ოზურგეთში, რატომ სხვა არავინ გახდა ავათ, ბ. კამანდირო? ან ოზურგეთის ჰაერს რა მტრობა უნდა ჰქონოდა სალდათებთან და სხვებთან—რა მოყვრობა?

ყველამ ვიცით, რომ მეორეთ არავინ ავათ არ გამხდარა და ის სალდათებიც ადრე მორჩნენ, ასე რომ ეხლა არც ერთი მაშვინ გამხდარი კაცი არ არის ავათ. როცა ხმა გავარდა ოზურგეთში, რომ სალდათების ავათმყოფობას ჰაერს აბრალებენო, მაშვინ ჩვენმა ქალაქის ექიმმა ბ. დავიდიანცმა მივიდა ქუთაისიდამ ჩამოსულ ექიმთან და გაკვირვებით გამოკითხა მას, რამდენათ მართალია გავრცელებული ხმა ამ გვარი მოწმობისა, რომელსაც უპასუხნია, რომ სალდათების ავათმყოფობა ნამდვილ ჰაერის ბრალიაო. ამაზედ ექიმებს შორის დიდი ცილობა და ამბავი გაიმართა და რით გათავდა—არ ვიცი. ვეცდები გავიგო და მკითხველებს ვაცნობო.

ლაზ. ჩხატარაიშვილი.

---

## გურული სცენები ნაგომრობის დროს

ნაგომრობა, ესე იგი ზოგადი ვაჭრობა სოფელს ნაგომარში გურიას, იმართება მუდამ წელს 15 ივლისიდამ 1 აგვისტომდის. მთელს საქართველოში ბევრგან იციან ამ გვარი ვაჭრობა, მაგრამ ნაგომრობას კი ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება, ვერც ვაჭრობის სივრცელით და ვერც სხვა-და-სხვა ნაირის დროს გატარებით; ეს არის ყოველ წლიური გამოფენა, სადაც იხილავთ ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხის წარმომადგენელთ, გარდა მრავალს უცხო ტომის, ვაჭარ მეთვალყურეთაც.

ადგილობრივი დუქნები რომ არ ყოფნისთ, კარვებს აშენებენ და ისე ვაჭრობენ.

### I

ახალციხელის ოქრო-მჭედელ ურიის კარავში შედის ერთი გურული გლეხი. აირჩევს ქამარ-ხანჯალს და მიჰმართავ პატრონს:

— როგორ ჰყიდი, ძამიავ, ამ ქამარ-ხანჯალს?

— ერთი ოცი კაჭ-კაჭი თუმნიანები მიბოძე და მიირთვი-ე. ღმერთმან იცის შენისთანა კოჩალი ბიჭისთვის მილიონი ღირს...

— რავა, ურიავ, დასტურ ჩივი ამაში ოცი თუმანი მიბოძეო?!

— შე კაი კაცო, რა გაგიკვირდა?

— უჰ, გადაველა (ამოგდება) შენი, მაგაში ამდენი არაფერ კაცმა მოგცეს! (მიდის. ურია უძახის და აბრუნებს.)

— ღმერთმან იცის, მე მაგ ფასი: არ შეცდები. ფულზე ვაჭრობა როგორ გეკადრება-ე გურულ კაცს. მ ინც ქრისტიანების გაზეთებში სწერენ ამ ნოემბრის თორმეტს მეორედ მოსვლა იქნებაო...

— რას ყბედობ, ურიავ, შენი სამასხარო აქ ვინაა, ყაზილარო? (ურია შეკრთება).

— კაი კაცო, გულ-მოსასვლელად კი არ მომიხსენებია. რასაც სწერავენ, იმას გეუბნები.

— ნუ ლაყბობ მეთქი, გიჩივი! შენისთანა ლორიჭამიას გურული კაცი მისს დღეში ვერ მოუღორებია და ვერც არა დროს მოაღორებს...

— არა, ჩემო მბძანებელო, ღორობას თქვენ ვინ გკადრებს, პატიოსანი ქართველი კაცი ხართ, ჩემი რჯულის მადლმა... (გურულს ღიმილი მოსდის განიზრახავს, რაიმე „შტუკა“ მოუხერხოს ურიას).

— აბა, ურიავ, მითხარი, რომელ გაზეთებში სწერია მეორედ მოსვლა იქნებაო? (ურიას უხარია. „ახლა კი დავსტყუვ ფულებიო“, ფიქრობს).

— სულ პეტერბურღის გაზეთებში ჩემო ხელმწიფევ, სულ! (მწუხარებით) ვაი, მოაწია დასასრულის დღე? (გურულიც მწუხარებით):

— ნენავ, ნენავ, მართალი უნდა იყოს... ჩემო ძამიავ, ერთი მაუწყე, გველეშაპები გაჩნდება, თუ არა, მაშინ?

— როგორ არა! ასე სწერავენ, პირველად სულ ვაჟ-კაცებს გადასჭამს და მერე სხვებსო...

— აბა, ჩემო ურიავ, მომაწოდე ორი კაი ფიშტო და ორი კაი ხანჯალი. იგინი, ე! (მიუთითებს თავის ამორჩეულებზე). ერთს წყვილს ჩემს ძმას, მევარკაცას, მივცემ, მეორეს მე დევიკიდებ. თითო ფიშტო—თხემლაიში*) ქე გვაქვს; ერთს ათ-ათ გველეშაპს კი გაუხმობთ გოგრას და მერე თუ კიდევ რამე ფათერაკი დაგვემართება, ანასუნი ჩვენს საქმეს, მარტო ჩვენ ხომ არ ვიქნებით! (ურია აძლევს ხელში ნაჩვენებს დამბაჩა-ხანჯლებს).

— იფ, იფ, ჩინებული სილალი გქონია, ურიავ, დასტურ ე! (ირჭობს წელში და მიდის.) მშვიდობით ურიავ, ღმერთმა კოჩალად შევახვედროს მეორეღ მოსვლას!

— ფულის მოცემა დაგავიწყდა, ჩემო ხელმწიფევ, ფულის!

— რა ფულს ჩივი, ურიავ?

*) თხემლაიში—დიდი გურული ხანჯალია, წელში გასარჭობი.

ავტ.

## წერილი რედაქტორთან.

—

ბატონო რედაქტორო! ამ 1881 წლის გაზეთის „დროების“ № 156-ში წავიკითხე ცნობა სურამიდგან, რომელიც ატყობინებდა მკითხველს, რომ წარსული ივლისის 20-ს სურამის ახლოს დაეცნენ ღამე ერთ გზის მასტერს ოთხი ავაზაკი და გასცარცვეს იგიო.

ამ ცნობაში არის მცირედი შეცდომილება: შემდეგ გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ავაზაკნი არამც თუ ოთხი, თორმეტამდინ ყოფილან; მათგანი შვიდი სატუსაღოში არიან და დანარჩენს ეძებს პოლიცია.

ეს ხსენებულნი ავაზაკნი აღმოჩნდნენ სულ ხაშურში დროებით მცხოვრებნი სამეგრელოს ხალხნი, რომელნიც ისრე გამრავლდნენ საცოდავ ხაშურში, როგორც ცაში ვარსკვლავნი.

ხსენებულ ავაზაკების დაჭერის შემდეგ ხაშურებს მიეცათ არა მცირედი სიხარული, რადგან იფიქრეს, რომ ამით მორჩნენ იმ საეჭო ხალხს რომელნიც ასე ხელობენ სურამში.

სად არის ჩვენი პოლიცია? ხაშური, მართალია, ზედ აკრავს სურამს, სადაც აქვს ბინდრობა პოლიციის პრისტავსა, მაგრამ ვინ ნახავს ამ უკანასკნელს თვალითა! სურამში და ხაშურში იმის დანახვა ისეთივე იშვიათი მოვლენაა, როგორც ცაში კუდიანი ვარსკლავი. ბუშინ სალამოსაც საცოდავათ დაასისხლიანეს აქ ორი ძმა კაცი, რომელთაც ხაშურის მამასახლისმა ზედაც არ შეხედა; უბედურებმა არ იცოდნენ ვისთვის მიემართათ; სურამში, რადგან პოლიციის პრისტავი იმ ჟამად არ იმყოფებოდა, ამისათვის იქიდგან ჩამოვიდა აქაური მამასახლისი, რომელმაც გამოაცხადა, რომ ის ასრულებს პრისტავის თანამდებობას და მოახდინა რაღაც განკარგულება. მაგრამ მეც ახალი კანონი: მამასახლისი ასრულებს პრისტავის თანამდებობას! ძნელი გასაგებია ხაშურში რატომ ვერ უნდა იმოქმედოს ადგილობრივმა მამასახლისმა, არამედ სურამისამ, რომელიც იმისთანავე სამსახურის პირია, როგორიც ხაშურის მამასახლისი?

რომელ ერთ შემთხვევას და უბედურებას მოსთვლის კაცი ხაშურისას? ან რა გასაკვირველია მარტო რკინის გზის სახელოსნო სახლში მუშაობს ათასზედ მეტი უცხო ხალხი, მომეტებული საეჭო ზნეობისა და ახლა ამ ათას კაცს ვინ იცის რამდენი თავისიანი და ნაცნობნი დასდევენ უკან. იქნება არც კი ვინმემ დაიჯეროს, რომ ხაშურში დაბინდდება თუ არა, უიარაღოთ გავლა აღარ შეიძლება, ისე ხშირია ავაზაკობა. ადგილობრივი მცხოვრებნი ისრე შევიწროებული არიან, რომ საშვალება რომ ვეღარა იპოვეს რა, ფიქრობენ სთხოვონ მთავრობას დაენიშნოს მათ საკუთარი პოლიციის პრისტავი, რომელსაც, თუ მთავრობა ნებას მისცემს თუნდ ერთი-ორათ აძლევენ ჯამაგირსა; წინაალმდეგ შემთხვევაში, მეტი ღონე არ არის, უნდა მაგარი გალავანი შემოავლონ თავიანთ სახლებს; მაგრამ რა გალავანი გაუძლებს აქაურ ღამის მონადირეებს?!

# უცხოეთი

—

**პარიჟი.** პარიჟის მეხუთე უბანში მომხდარა ამომრჩეველების დიდ-ძალი ყრილობა, რომელზედაც **ლუი-ბლანს** წარუდგენია ანგარიში თავის მინდობილებითი მოქმედებისა. თავდაპირველად გამოუცხადა კრებას მტკიცე რესპუბლიკური მიმართულება თავის ყოველივე მოქმედებისა და შემდეგ დაიწყო კრიტიკული განხილვა კონსტიტუციისა, რომელიც დაწესებულია მონარხისტებისაგან. „ორი პალატის სისტემა, სთქვა ორატორმა, მაგონებს მე ურემს, რომელშიდაც გაბმულია ორივე მხრით ცხენები. ცხენები მიეშურებიან თავ-თავის მხარეს—და ურემი ყოველ წამს მოელის დამტვრევას. სენატები ყოველთვის ყოფილან მოწინააღმდეგე პროგრესისა; ამის მაგალითად ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ, როგორც ინგლისის ლორდების პალატა, აგრეთვე ამერიკელი მეორე პალატა, რომელიც მონაობის დამცველი იყო. ერთად სენატთან რომ კონვენტიც ყოფილიყო, საფრანგეთში რევოლიუცია ისეთ ნაყოფს ვერ მოიტანდა, როგორიც საჭირო იყო; დღეს ქვეყანა დახსნილია უბედურებისაგან“.

ლუი-ბლანი ძრიელ ჰკიცხავდა ოპორტიუნიზმს (გამბეტისტების მოქმედებას) და უწოდებდა მათ მოქმედებას „დღიურ-პოლიტიკას“—„რესპუბლიკა მონარხიაზედ უკეთესი არასოდეს არ იქნება, სთქვა ლუიბლანმა, თუ ის უფრო მეტად არ გააბედნიერებს კაცს, თუ მეტად ზნეობას არ ულვიძებს, თუ მეტ განათლებას არ აძლევს. რითია უკეთესი რესპუბლიკა სხვა გვარ მმართველობაზედ მუშა ხალხისთვის, რომელიც მეტის შრომისაგან დაღონებულია, და საზოგადოთ ყველასათვის ვინც კი გაჭირვებას ჰყავს ხელში მომწყვდეული, თუ რესპუბლიკური მმართველობა არ ეძებს მოუსვენებლივ სხვა-და-სხვა გვარ საშუალებებს გააუმჯობესოს შრომის ფასი, შეაერთოს შრომის ძალა, მისცეს საშუალება მუშა ხალხის შვილების აღზრდას; და დასასრულ, თუ რესპუბლიკა არ ჰპოულობს საშუალებას მოიყვანოს სისრულეში ისტორიული მოთხოვნილება მონაობის და გლახაკობის მოსპობისა—ის მოთხოვნილება, რომელსაც მიუძღვის გზა სიმართლისა და ნამდვილი თავისუფლობისა?“

ლუი-ბლანის სიტყვამ დიდი აღტაცებაში მოიყვანა ხალხი და საშინელი ტაშის კვრით მიიღეს მისი უკანასკნელი სიტყვები.

ახლად ამორჩეული არიან: კონსტანი, ეპისკოპოსი ფრეპელი, შიულფერრი, კოშრი, შუაზიოლ, მარსერ, რუვიე; არ ამოირჩიეს: ლეონ რენო და ბარდუ. გამბეტას ორ ბელვილის უბანში მიუღია: პირველში—4519 ხმა 8,904 ხმიდამ, მის მოცილეს ლოკრუას მიუღია 3,536 ხმა; მეორე უბანში გამბეტას მიუღია 10,046 ხმიდამ—4,895, მის მოცილეს რევილიონს—4,116 ხმა. ასე, რომ მეორე უბანში გამბეტამ მიიღო მხოლოდ ერთი ხმით მეტი წესდების მოთხოვნილებაზედ.

ამათ გარდა პარიჟში ამორჩეულნი არიან: პელტანი, კლემანსო, ბრეპო, სპიულერი, დელაფორჟი, კასს, ფლოკე, ლოკრუა, ბაროდე, ბრისო, ალენ, ტარჟე, ლამესან, ფრებო, მარმიტონი, ბერისონი. ტირარი, კანტაგრელი, ლუი-ბლანი, ბრელეი და ფარსი. ყველა ესენი ესენი ეკუთვნიან რესპუბლიკურ დასს.

—

**რომი.** ერთი იტალიელი გაზეთის სიტყვით, საფრანგეთს ოფიციალურად უარი გამოუცხადებია იმ იტალიელების დაკმაყოფილებაზედ, რომელიც გაცარცული იყვნენ ფრანცუზების სალდათებისაგან ქ. სფაქსის აღების დროს. ამბობენ, უცხო საქმეთა მინისტრი **მანჩინი** ენერგიულად აპირებს თხოვნის განმეორებას. აგრეთვე მინისტრი აპირებს პასუხის თხოვნას პარიჟში, თუ რათ შეაჩერეს გამოძიება მარსელის უწესოების გამო.

---

— სილაღის ფასი არ გიბოძებიათ, სილაღის ფასი!

— რავა, ურიავ, რად გინდა ფული? მეორედ მოსვლა იქნება ნოემბერში...

— არა, ჩემო ხელმწიფევ, ტყვილი მოგახსენე ჩემმა რჯულის მადლმა! ფული მიბოძეთ, შენ და შენი ღმერთი, ათი თუმანი მერგება!

— ტყვილი რავაა, შე უბედურო, დასტურია (აპირობს წასვლას, ურია ხმა-მაღლა:) ფული, ფული, სილაღის ფასი... (გურული მოუბრუნდება),

— სსსუ, ურიავ, თვარა, ახლა დადგა შენთვის მეორედ მოსვლა: დაგარჭობ ჭიპზე ხანჯალს!

— ქრისტიანო...

— გაკმიდე ხმაი! ადექი ბაზარს იქით გამაცილე, თვარა შენ თუ აქანა დაგტოვე, შექნი ერთს ყვირილს და ვაი უშველებელს. (სატევრით დაშინებული ურია აცილებს ბაზრის იქით სილაღის წამრთმევლ გურულს დაბრუნდება დაღონებული.)

ღმერთმანი მეორედ მოსვლის ნიშანია, თორემ ასე აშკარად როგორ გამცარცვა ე?!.

### II

სუფსისკენ, დანგრეულ ციხესთან, ორი ნათესავი აზნაური ჰზის და ერთი მეორეს ეუბნება:

—...უარესი საჯაყი ჩემს მტერს და ავის მდომელს დამართია! ციცა (ქალიშვილი) მივეცი ქუთაისს სასწავლებელში აგერ სამი წელიწადი იქნება მას აქეთ, მეგონა რამეს ასწავლიდნენ და ისწავლიდა, იგი კი არა, სულ მთლად გაუყაზილარებიათ...

— ნუ მეტყვი მაგას! რავა, რაფერად?

— ნენავ, ბატონო, წლეულს საზაფხულოდ მოვიყვანე სახლში, ვთქვი: იმისდაც კაი იქნება და ჩემდაც, რადგანც უსწავლია, ოჯახში უფრო კარგად გააკვლევს საქმეს-მეთქი. მეტი არაა შენი მტერი და ორგული!.. ბუშინისწინ სტუმრობა მქონდა და სადილად, სხვათა შორის, ჩინებული ახალი ხიზილალა მქონდა ხაზირად. მოუჯედით ყველამ სუფრას, სადაა ხიზილალა. დავეკითხე ჩემს ნასწავლს ციცას, ხიზილალა მოგვიტანე-მეთქი.

„— სადილად თუ გინდოდა-არ მიფიქრნია და სხვაფრივ მოვიხმარეო.“

— ვაი წახდი, სხვაფრივ მოხმარა რას მიქვია-მეთქი? „მოიცადე, ბაბავ, (მამა) და ის ხიზილალა მალე ერთიათად გადიქცევაო.“

— არაფერი გამიგია, რას ჰნიშნავს შენი ლაპარაკი-მეთქი.

„— ის ხიზილალა წყლით სავსე გობში ჩავდევი და რამდენიმე ხნის შემდეგ იქიდამ ზუთხები გეიზრდებიანო!

— ნენავ, ხიზილალას შენი ჭირი წაუღია, მარა გულს იგი მიკლავს, რომ თავისი ამფერი აბდლობა ქე თქვა ისე საზოგადოებაში...

— იცი, ძამიავ, რა ჰქენი? თუ გინდა შენმა ქალმა მეორედ არ ჩაიდინოს მაგ ფერი რეგვენობა, დაამწყვდიე ერთს ოთახში, საჭმელსასმელი აძლიე და უთხარი: არ გამოგიშობ, სანამ ერთს ბალანას არ გააკეთებ-თქო... კარები კი მაგრა ჩაუკეტე, თვარა....

— კარების ჩაკეტა ადვილია, მარა ქე არ დევილუპე კაკალი კაცი, თუ ფანჯარა გაალო!..

### III

ერთს ადგილობრივ მემამულეს სტუმრები დაეპატიჟნენ, სხვათა შორის, ერთი რუსიც. ამ უკანასკნელმა შეხედა მაღლარი ვაზის ბაღს და თქვა:

— **Какой славный виноградный садъ!**

ეს გაიგონა მასპინძელმა და ერთს სტუმართაგანს სთხოვა:

— მაგ რუსს მოახსენე, ეს ვაზი ვინ დარგა და ბაბუა ჩემმა ჰკვირიკამთქვა.

ჯ.

# განცხადებანი

**ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში** (ალექსანდროვის ბაღთან, რუსის საყდრის გვერდით) ისყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველთ ტომის დასაწყისზე თხზ. დ. ბაქრაძისა ფასი 20 კ.

ლექსები, თქმული ვ. ხ. ორბელიანისაგან, ფასი 15 კაპ.

დავითიანი, გურამიშვილის დავითისა, ფასი 1 მან.

პონტის მეფე მიდრატად დიდი დ. ბაქრაძისა, ფასი 10 კაპ.

სამშობლო, ანუ ლექსთა კრება მიხეილ აბულაძისა, ფასი 10 კაპ.

პოლემიკური საუბარი მღვდლისა მაჰმადიანთ მოლასთან, თხზ. მღვდ. სიმეონ ბეგიევისა, ფასი 70 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ, книжный магазинъ Захарія Чичинадзе.** (5—1)

---

**წმიდის მამა დავითის** ცხოვრება და მთაწმიდის ეკკლესიის დადგინება ელიბექძე რუსულს ენაზედ და წიგნები ისყიდება ამავე ეკკლესიაში, მსურველთ შეუძლიანთ ყოველს ჟამს მოიპოვონ სიტყვით. (1—1)

---

**წიგნის მაღაზია**

ი. ძურაძევისა

# ქუთაისში

ამით აცნობებს ბ.ბ. მასწავლებლებს, რომ მომავალი სამასწავლებლო წლისთვის ამ მაღაზიაში დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო წიგნები, მოსწავლეთათვის რვეულები, დახაზულები მოთხოვნილების-და-გვარად, ასი—5 მანეთად. ასპიდის დაფები დახაზულები და სადაც, სამასწავლებლო სათამაშოები და სხვა ყოველ გვარი სასწავლებლისთვის საჭირო ნივთები **მრიელ იაფად.**

ყოველივე მოთხოვნილება ასრულდება დაუყოვნებლივ და რიგზედ. (3—2)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პაპიროსები 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—4)

---

# ქუთაისში

დამეკარგა ჩუქურთმის ხელობის (**рѣзчичье**) ნახატები, რომელიც თუ არ მეჩუქურთმესათვის სხვისთვის **სრულიად** გამოუდეგარია. მნახველს ვთხოვ წარადგინოს ზერარდის წიგნის მაღაზიაში, რითაც დიდად დამავალებს.

იოსებ დავითაშვილი. (3—2)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, შურშლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივის ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავანის გიარები. (100—10)

---

ინგლისის მაღაზიაში



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკიცილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—19)

---

**თბილის ქალაქის გამგეობა** ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1 სეკტემბრიდამ ქალაქში იხსნება შვიდი პირველ დაწყებითი სასწავლებლები, სადაც სწავლა იქნება, დედა-ენაზედ: რუსულზედ ქართულზედ და სომხურზედ. ვისაც ამ სასწავლებლებში ყმაწვილების დანიშნვა ჰსურთ, მოიწოდებიან შემოიტანონ დოკუმენტები (დაბადების და ყვავილის აცრის მოწმობა) ქალაქის გამგეობაში ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ შუადღემდის. თხოვნის ქაღალდები საჭირო არ არის, ამისათვის არის დამზადებული უპრავაში ბლანკები. (4—3)

---

**ჩაის მცოდნე**, პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა **ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან.** და შეადაროს ჩაის **1 60 კაპ. და 3 მან.** ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—24)

---

**ახლად მიღებული**

დიდ ძალი რიცხვი თოფებისა, რევოლვერებისა, სასროლებისა, პირველ მოკრეფის ჩაისა, ბაკლებისა და სხვ. თოფები ჩოკ ბორ (*chôke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ 120 მან. ბულ-დოგის რევოლვერები 11 მან. 700 კრავატები 5 მანეთიდამ 40 მა-მდის. აქვე ისყიდება პაპიროსინა ნახევარ ფასად და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.** (12—11)

---

**ამა წლის პირველ სეკტემბრიდგან**

გამოიცემის ქ. ქუთაისში

**თავ. დიმ. ელ. დადიანის რედაქტორობით**

ყოველ-კვირის საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი სახელად

# „შ რ ო მ ა“

გაზეთის პროგრამმა:

I სტატიები თანა მედროვე კითხვებზედ II ტელეგრამმები. III ადგილობრივი ამბები და შენიშვნები. IV ახალი სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცნობები. V ქრონიკა ადგილობრივის თვით-მმართველობისა. VI შინაგანი და გარეგანი წერილები. VII საპოლიტიკო მიმოხილვა გარეგანი და შინაგანი. VIII კრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურაზედ. IX ფელტონი. მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა და სხვა შენიშნვები. X ისტორიული მიმოხილვა კავკასიის აქეთა მხარისა, XI სამსაჯულო ცნობები და შენიშნვები. XII ცნობათ-ფურცელი და განცხადებანი.—

გაზეთი გამოვა ოთხშაბათობით, საშუალის საგაზეთო ქაღალდის ფურცელზედ, ხან-და-ხან დამატებით.

გაზეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლით—შვიდი მანეთი, ნახევარის წლით—ოთხი მანეთი, სამის თვით—ორი მანეთი და ხუთი შაური და ამა წლის პირველ სეკტემბრიდგან მომავალის 1882 წლის პირველ იანვრამდი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება;

ქ. ქუთაისში: 1) გაზეთის რედაქციაში, ნემეცების ქუჩაზედ, კნეინა მაჭუტაძის სახლში, 2) პ. ზ. წულუკიძის სტამბაში, თფილისის ქუჩაზედ, მრიქოვის სახლში და 3) ძმების ნიკოლაძეების მაღაზიაში, გიმნაზიისა და სათავადო ქუჩის კუთხეში.—

ქ. თფილისში: ბ. შავერდოვის გაზეთთა საააგენტოში.

ამ ქალაქთ გარეშე მცხოვრებთა თავიანთის მოთხოვნილებით პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

გამომცემლები: თავ. დ. ე. დადიანი და დ. ა. ნაზაროვი.

---

ვექილი სასამართლო საქმეებში

# პ. მ. გელოვანსკი

ბადგვიდა არლოვსკის ქალის სახლებში, ინტენდანსტვოს გვერდით. (5—4)

---

**ნაფიცი ვექილი**

სერგეი ვასილიევიჩი

# ჩემესოვი

ბადავიდა არსენალის ქუჩაზე, „კრუქოკის“ უკან, ბარბუნოვის სახლებში. (5—5)

---

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — | 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — | 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — | 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — | 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — | 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — | 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—27)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. მრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში**, საააგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—91)

---

**ახლად მიღებულია**

ინგლისის მაღაზიაშია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პაპიროსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ, (25—12)

---

ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა;

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Августа 1881 г. Типографія С. Меликова. ზამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი